გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2018 წლის 19 თებერვალი

ქ. გურჯაანი

,,გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №3 დადგენილებით (გამოქვეყნების წყარო: „www.matsne.gov.ge", 21/01/2018 010250050.35.166.016370) დამტკიცებულ დანართში შევიდეს ცვლილებები და დანართის მე-2, მე-3 და მე-4 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოები
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1770
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1400
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1400

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვანო ბერიძიშვილი**